ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 24

29 სექტემბერი, 2023 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდგორში ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის სიტუაციური ნახაზის დაზუსტების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, საბატონოს ქუჩის, ჩიხების ნუმერაციის ცვლილების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის ქართველი ოფიცრის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, დიდების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დიდების II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალიოშა ჯაფარიძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კობა სერგიას ქუჩის გაგრძელების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ნორიოს აღმართის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, რაშიდ ბეიბუთოვის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის რაშიდ ბეიბუთოვის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გია ბერუაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის გია ბერუაშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შეახებ.
11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ელო ანდრონიკაშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ელო ანდრონიკაშვილის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდგორში ორასი თავდადებული მხედრის I

შესახვევის სიტუაციური ნახაზის დაზუსტებას. მოქალაქე დავით რაჭველიშვილი ითხოვს საბაზისო რუკის ფენაზე მონაცემების კორექტირებას. კერძოდ, მოთხოვნილია საავტომობილო გზის მანიშნებელი ყვითელი კონტურის იმ მონაკვეთის წაშლა, რომელიც კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში განმცხადებლის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ნივთს. კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაციია მისცეს.
მეორე საკითხი შეეხება კრწანისის რაიონში, საბატონოს ქუჩის, ჩიხების ნუმერაციის ცვლილებას. ცნობილია, რომ სახელდებული ქუჩების ნუმერაცია ხორციელდება ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით, საბატონოს ქუჩის შემთხვევაში ჩიხების ნუმერაცია იზრდება პერიფერიიდან ცენტრისკენ, რაც შეუძლებელს ხდის ნუმერაციის სწორად განხორციელებას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბატონოს ქუჩის ჩიხების ნუმერაცია შეიცვალოს დანართის შესაბამისად. კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მესამე საკითხი შეეხება საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის ქართველი ოფიცრის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭებას. იგი იყო ქართველი ოფიცერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოლკოვნიკი. 1921წლის თებერვალში თბილისის დაცვის დროს ტაბახმელას პოზიციებზე მეთაურობდა საარტილერიო ნაწილებს. დახვრიტეს 20 მაისს, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

მეოთხე საკითხით მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, დიდების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევს მიენიჭება დიდების II შესახვევის სახელი. კომისიამ აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ალიოშა ჯაფარიძის I შესახვევის სახელის მინიჭება.
მეექვსე საკითხის თანახმად ვაკის რაიონში გაგრძელდება კობა სერგიას ქუჩა.

ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელს მიენიჭება ლეო კვაჭაძის I გასასვლელის სახელი.
მერვე საკითხის თანახმად ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართთან არსებული
უსახელო ჩიხს მიენიჭება ნორიოს აღმართის II ჩიხის სახელი.
ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეცხრე საკითხი. კრწანისის რაიონში, რაშიდ ბეიბუთოვის ქუჩის გაგრძელებას და ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს რაშიდ ბეიბუთოვის სახელი მიენიჭება.
კრწანისის რაიონში, გია ბერუაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელს გია ბერუაშვილის I გასასვლელის სახელი მიენიჭება.

მეთერთმეტე საკითხის თანახმად ნაძალადევის რაიონში, ელო ანდრონიკაშვილის ქუჩის გაგრძელებას და ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს ელო ანდრონიკაშვილის II შესახვევის სახელი მიენიჭება.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე